ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №645587

ნომერი: AR1125001

თარიღი : 16.04.2013

გაცემის თარიღი : 16.04.2013

გაცნობის თარიღი : 16.04.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი ლილო, ვარკეთილის მეურნეობა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარ ჭიჭინაძე პ/ნ 01001055395
- თბილისი გლდანი VII მ/რ კორ. 12 ბ. 146

ნომენკლატურა :

- საჩუქარი პროექტები
- შერჩეული პროექტის მშენებლობის შესაძლებლობის განსაზღვრა მიწის ნაკვეთზე

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით #81.08.24.139 მდებარეობს სარეკრეაციო ზონა 2 (რზ–2)–ში. სადაც ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, საპროექტო ტერიტორიის გაბარიტების გათვალისწინებით შესაძლებელია #01/1117 ბრძანებით შეთანხმებული პროექტის საფუძველზე მშენებლობის ნებართვის გაცემა. მაგრამ, რადგან საპროექტო ტერიტორია მდებარეობს სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)-ში, მშენებლობის ნებართვის გაცემა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარებისათვის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის ფუნქციით შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური ზონალური შეთანხმებით. აღნიშნული ნებართვის მისაღებად, სამსახური დააყენებს შუამდგომლობას ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის უახლოეს სხდომაზე, რომლის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, გეცნობებათ დამატებით შეტყობინებით.

დადებითი პასუხის შემთხვევაში, აღნიშნული ნებართვის მისაღებად შემდგომი პროცედურების გავლის თაობაზე ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ვებ გვერდის მეშვეობით: tas.ge.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge